№ 209. 20 ოკტომბერი, ხუთშაბათი. 1866—1883 20 ოკტომბერი, ხუთშაბათი. № 209.

# დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა. . . 3 მან.

ექვსის თვისა . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

პარასკევს, 21-ს ოკტომბერს, წლის თავზედ ქვრივი ღენერალ-მაიორის მეუღლის მღენე ალექსანდრეს ასულის პაპოვის გარდაცვალებისა, გარდაიხდიან განსვენებულის მოსახსენებლად პანაშვიდს და ლიტურგიას ანჩისხატის საყდარში დილის 10 საათზედ. (2—2)

არწრუნის თეატრი.

დღეს, ხუთშაბათს, 20 ოკტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

პირველი მოქმედება ა. ა. ცაგარელის პიესიდამ

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

II

მეორე მოქმედება ა. ნ. ოსტროვსკის კომედიიდამ

შემოსავლიანი ადგილი

III

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი ერთ მოქმედებად, თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

IV

ლეკური

დასაწყისი 8 საათზედ. (1—1)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

18 ოქტომბერს.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის ბიუჯეტის კომისიაში გრაფმა კალნოკიმ, იმისი წინანდელი სიტყვები სხვა ნაირად რომ არ განიმარტონ, გაიმეორა: მე ავსტრიის რუსეთთან დამოკიდებულებას ვუწოდე სრულიად ნორმალური და, მაშასადამე, მეგობრული შემდეგ მომეტებულის ხმის ამაღლებით სთქვა, რომ რუსეთი ავსტრიაზე ნაკლებ არ საჭიროებს მშვიდობიანობას და ამ საჭიროებას გრძნობენ არამთუ მარტო მმართებლობის წრენი, არამედ მთელი მხარეც; ამისათვის ორ მმართებლობათა მეგობრულს დამოკიდებულებაში გრაფი კალნოკი ხედავს ხანგრძლივი მშვიდობიანობის გარანტიას.

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო გატჩინოში ბულგარიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბალაბანოვი.

გაზეთები იუწყებიან, რომ შინაურ საქმეთა მინისტრმა შეიტანა კოხანოვის კომისიაში ახალი პროექტი, რომელიც შეეხება ადგილობრივ გამგეობათა გარდაკეთებას. როგორც ამბობენ, სამინისტროს და კომისიის პროექტებს შორის დიდი განსხვავება არისო.

## ძალად პედაგოგები

თბილისი, 19 ოქტომბერს.

სწავლის საჭიროება ისე ძლიერია ეხლანდელს დროში, რომ სახელმწიფო სასწავლებლის გვერდით მრავალი კერძო სკოლებიც წესდება. ამ სკოლებს ათასში ერთსა აქვს მინიჭებული სახელმწიფო სასწავლებელთა უფლება, დიდად მომეტებული ნაწილი მხოლოდ ამზადებს შეგირდებს სასწავლებლებში მისაღებად და ხშირად ამ შრომისთვის ნათესავებსა და მშობლებს ორმოცი და ორმოც-დაათი თუმანი შეაქვთ თითო ბავშვზედ. ნათესავებსა და მშობლებს, რასაკვირველია, ნება აქვთ, რაკი ამოდენა ფულს იხდიან, კარგად ადევნონ თვალყური ამ სასწავლებელთა მდგომარეობას და თუ რაიმე ნაკლულევანებას შეამჩნევენ, გამოააშკარაონ კიდეც. ჩვენი გაზეთიც მოვალედ მიგვაჩნია ამ შემთხვევაში საზოგადოებას მისცეს მხარი და მის ინტერესების დარაჯად იდგეს.

საქმე ის არის, რომ კერძო სასწავლებლებს ხშირად კარგი ხმა უვარდებათ და სხვის ღირსნი კი არიან. ხშირად რომელიმე სასწავლებლის შეგირდებს სიხარულით იღებენ სახელმწიფო სასწავლებლებში, ამ სასწავლებლის პატრონიც თავს გადის, ფასებს მაღლა სწევს და მშობლებიც ტყავს იძრობენ, ოღონდ ამ სასწავლებლებში მისცენ თავიანთი შვილები და შემდეგ გიმნაზიის მუნდირებში გამოჭიმულები დაინახონ.

ბუნების მეცნიერებაში არის რამდენიმე მოვლენა, რომელსაც გრძნობის მოტყუებას ეძახიან: წყალში რომ ჯოხი ჩასდოთ, გადატეხილი გეჩვენებათ, დასორსოლავებული პურის გული რომ ერთმანეთზე გადადებული თითებით აქეთ-იქით მიაგორ-მოაგოროთ, თითქო ერთი მარცვალი ორად გადაიქცევა. ესევე მოხდება ხოლმე საზოგადოების ცხოვრებაში. ხშირად საუკეთესოდ მომზადებული ბავშვები გარედ რჩებიან და ნაკლებად მომზადებულთ კი ეღირსებათ მეცნიერების ტაძრის კარების შეღება.

ამ უცნაურის მოვლენის მიზეზის დასახელებას ჩვენ ეხლა ვერ შევუდგებით. მიზეზი ცხადია ყველასთვის, ვინც კი ცოტათიც არის იცნობს ჩვენს საზოგადოებას და იცის, როგორც ყოველს საქმეში პირველი ადგილი უჭირავს ნაცნობობას, მეგობრობას,

«დროების» ფელტონი, 20 ოქტომ

*Маленькій рисовальщикъ или образцы рисованія. Составилъ для Кавказскихъ школъ учит. Ан. Джугели. Цѣна трехъ выпусковъ 50 коп.*

(პატარა სამხატვრო, ანუ ხატვის ნიმუშები, შედგენილი კავკასიის სკოლებისათვის მასწავლებლის ანთ. ჯუღელისაგან; ფასი სამის რვეულისა 50 კაპ.).

როდესაც ვინმე სახელმძღვანელოს ადგენს და აბეჭდვინებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ არის კმაყოფილი სხვა სახელმძღვანელოებისა, რომელნიც უკვე არსებობენ, მათში ჰპოვებს იმდენს ნაკლულევანებასა, რომ მის შეხედულობით, მათის საშუალებით საქმის წარმატება შეუძლებელია. საკუთარს ახალ შრომაში იგი სცდილობს სხვაგან შენიშნული შეცთომილებანი სრულიად თავიდამ აიცდინოს, და თუ შესაძლებელია, რაიმე ახალი ელემენტი შეიტანოს,—ისეთი ელემენტი, რომელიც მის შრომას აძლევს სხვა ხასიათს, სხვა მიმართულებას, სხვა ღირსებას. უ-ამისოდ არც ერთი სახელმძღვანელო არ იბადება. როდესაც ბ. ჯუღელს სამხატვრო ნიმუშების შედგენის აზრი მოსვლია თავში, უეჭველად ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, ე. ი. მას ჰსურდა სხვა ამ გვარი ნაღვაწის ნაკლულევანებანი გაესწორებინა და ახალი რამით დაესაჩუქრებინა კავკასიელი მოსწავლე ბავშვები. რამდონად მიუღწევია თავის წადილისათვის ბ. ჯუღელს, ვეცდებით მკითხველს დავანახოთ.

ნაკლულევანების გასწორებისა კი რა მოგახსენოთ და რაც შეეხება ახალი ელემენტის შეტანას, ამისათვის ბ. ჯუღელს ძლიერ ბეჯითად უმოქმედნია; რა საგანიც კი მოუხელებია კავკასიურის ცხოვრებიდამ თავის რვეულებში მოუქცევია: თქვენ აქ ნახავთ ქურქელს სხვა-და-სხვა გვარს, იარაღებს, სახლის ავეჯს, სხვა-და-სხვა გუთნებს, ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს, კავკასიელი ხალხის ტიპებს და სხვ. და სხვ.

მართალია, ვერც ერთს ამ გვარ გამოცემაში თქვენ ვერ შეხვდებით ჩვენის ცხოვრებიდამ აღებულ საგნებს,—ეს ნაბიჯი ეკუთვნის საკუთრად ბ. ჯუღელს; მაგრამ, საუბედუროდ, ბ. ჯუღელსავე არამცთუ სხვათა ნაკლულევანებანი არ გაუსწორებია, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ, თვის და უნებლიედ, იგინიც სრულიად შეუტანია თავის რვეულებში და თავის მხრიდანაც ხუთი იმოდენა შეცთომები ზედ დაუმატებია.

რაკი ბავშვებისათვის სამაგალითო რამ იხატება, რაკი გსურს მაგალითებით და ნიმუშებით ბავშვებს გზა განუკვლიო და შეასწავლო ხელოვნება, აქ, თქმა აღარ უნდა, შეცთომას, სიმტყუნეს, მურზელობას, არევდარევას არას გზით ადგილი არ უნდა ჰქონდეს. არის თუ არა ყოველი ესე ბ. ჯუღელის რვეულებში, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, ჯერ კი შევეხოთ რვეულების პრინციპიალურს მხარეს.

უკანასკნელ დროს მხატვრობის მიმდევართ თითქმის ყველა წარჩინებული წარმომადგენელი იმ აზრისაა, რომ მრავალი საგნების ბადეში ხატვა პაწაწა ბავშვებისათვის ყოვლად უსარგებლო და თითქმის მავნებელიც არის. უსარგებლოა იმიტომ, რომ ამ გვარი საგნების ხატვით ბავშვის განუყრელი ცნობის-მოყვარეობა, ბავშვის მიზეზთა გაგების გაშმაგებული სურვილი სრულიად არა კმაყოფილდება და მეხანიკურს ვარჯიშობას ფართო გზა ეძლევა მაშინ, როდესაც ვიწრო გზაც არ უნდა ჰქონდეს. ბავშვი, მაგალითებრ, ჰხედავს, რომ ნახევარი მხარე დახატული ქოთნისა გაშავებულია და ნახევარი კი თეთრად დატოვებული; სად არის ეს? იქნება გვგონოთ, რომ შვიდის წლის ყმაწვილი მიხვდეს, თუ თეთრი ადგილი სინათლეს მოასწავებს და შავი ჩრდილსაო? სრულიადაც არა. იგი მაშინაც კი ვერ მიხვდება ამ გარჩევას, რომ თქვენ თითონ აუხსნათ ეს ასეა, ეს ისეაო, რადგანაც მისი დაკვირვებით ძალა ისეთი სუსტია, რომ მას ქოთანი თავიდამ ბოლომდინ მხოლოდ ერთ ფერად, ერთ-ნაირად განათებული ეჩვენება და არა ორ-ნაირად. შვიდი-რვა წლის ბავში აგრეთვე ზედმიწევნით ვერ მიხვდება იმას, თუ ხატვაში ტოლ-მეტად რათ გამოდიან ორი რიგზე მდებარე საგანი, რომელნიც ნამდვილად ერთი ზომისანი არიან. მაინცა-და-მაინც თუ პატარა მოსწავლეს სანიმუშო რვეულიდგან თავის რვეულზედ უცვლელად გადააქვს ყოველი წერტილი—ეს უნაყოფოა, რადგანაც ვისთვის შეუგნებელია.

მრგვალი საგნების ხატვა ამ ქამად ყველასაგან გადადებულია იმ დროსათვის, როდესაც მოსწავლე საკუთარის დაკვირვებით შეისწავლის ყოველს საგანს—ერთის სიტყვით, როდესაც თვითონ შეიძლებს ნამდვილი საგნისაგან პირის გადაღებას (рисовать съ натуры).

ბადეში მრგვალი საგნების ხატვა პატარა მოსწავლესათვის მავნებელია, რადგანაც ბადეში მოთავსების გულისთვის ყოველი საგანი მახინჯდება და არ იხატება ისე, როგორც ნამდვილად ჩვენა ვხედავთ. მაგალითად, ავიღოთ ბ. ჯუღელის რვეულიდან ეკ-

ნათლი-მამობას და ხშირად კერძო პირადს ინტერესებსაც.

აშკარაა ყველასთვის, თუ ამ უგვანს მოვლენას როგორ დიდი ვნების მოტანა შეუძლიან: ხშირად იმისთანა პირები მართვენ კერძო სასწავლებლებს, რომელთაც არაფერი არა ესმით-რა პედაგოგიისა და ბავშვების მოვლისა, მაგრამ რაღაც სასწაულით მათს სასწავლებლებში გამოზდილის ბავშვებისათვის კარები ყოველთვის ღიაა. მაგრამ რომ არ იკითხოთ, შემდეგ რა ბედი მოელით ესრედ ხელად მომზადებულს ბავშვებს, ის ემჯობინება ამ «ძალად პედაგოგების» სახელისათვის. მათ სასწავლებლებიდამ გამოსული ბავშვი ძნელად თუ მიაწევს მეექვსე და მეშვიდე კლასამდე, ჩვეულებრივ მეოთხეში ათავებს თავის კურსსა და მიდის მერე მამა-პაპის ოჯახში უმაღლესის სწავლის მისაღებად... ღვინის სმასა და ქალალდის თამაშობაში. ბედკრულ მშობლებს კი ხშირად ეყიდებათ მამული იმ ვალში, რომელიც მათ შვილის გამოსაზრდელად იკისრეს.

ამ შეუსაბამო საქმეს ეშველება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიქცეული იქნება ყურადღება საზოგადოდ მასწავლებელთა ზნეობრივს განვითარებაზედ და როდესაც მასწავლებლების მართლა რომ მძიმე შრომა რიგიანად იქნება დასაჩუქრებული,— დასაჩუქრებული ისე, რომ აქეთ-იქით აღარ მოუნდეთ მათ ლუკმა პურის შოვნა; მაშინ უნდა მოველოდეთ რომ სხვა-და-სხვა უცხო გავლენას, ნათლიმამობას სხვა-და-სხვა მხრით აღარ ექმნება მათზედ მოქმედება და მაშინ ეხლანდელი კერძო სკოლების გამმართავი, ნაძალადევი პედაგოგებიც ხახა-გამომშრალები დარჩებიან.

გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ უკუღმართს მოვლენის ამბავს მთავრობის ყურამდისაც მიუღწევია და იგიც ცდილობს თურმე ამ მძიმე საქმის წესზე დაყენებას.

## შინაური ქრონიკა

≈≈ დღეს, ხუთშაბათს, 20-ს ოქტომბერს, ჩვენი დრამატიული დასი ემზადება დაუხვდეს ღირსეულს და გამოჩენილს სტუმარს, ბ. ალექ. ნიკ. ოსტროვსკის, რომლისთვისაც იმართება საღამო.

მოწვეულნი არიან, როგორც დრამატურგი ბ. ა. ნ. ოსტროვსკი, აგრეთვე მისი ძმა, სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება.

საღამო დაიწყება შემდეგის პროგრამით:

1) საპატიო სტუმარს შემოსავალს კარებთან მიიღებენ განსაკუთრებით ამისთვის ამორჩეულნი პირნი.

2) რა წამს გამოჩნდება პატივცემული სტუმარი თავის ლოჟაში, ორკესტრი დაუკრავს ქართულს მარშს შედგენილს ბ. დეკერ-შენკისაგან. ორკესტრის შემდეგ საზანდრები დაუკრავენ ჭიანურს.

3) საზანდრები რომ გაათავებენ, მაშინათვე აიხდება ფარდა და სცენაზედ შეკრებილი იქნება მთელი ქართული დრამატიული დასი საქართველოს ნაციონალურ ტანისამოსით. შუა სცენაზედ იდგმება ბ. ოსტროვსკის პორტრეტი. ბ. ცაგარელი წარმოსთქვამს დასის მაგიერ მიგებების ლექსებს, რომლის შემდეგ ორკესტრთან ერთად იმღერებენ მრავალჟამიერს. ამის შემდეგ, გამგებელი ქართული დრამატიული დასისა, ბ. კ. აბაშიძე წაიკითხავს ადრესს.

4) ლექსი გადათარგმნილი რუსულად და აგრეთვე ადრესი გადაეცემა დრამატიულ საზოგადოების ერთ ერთი წარმომადგენელისაგანა.

5) სწორედ 8 საათზედ ფარდა ხელახლად აიხდება და დაიწყება წარმოდგენა შემდეგის რიგით:

ა) მეორე მოქმედება გამოჩენილი დრამატურგის ბ. ა. ნ. ოსტროვსკის კომედიიდგან «შემოსავლიანი ადგილი», რომლის გათავების შემდეგ მიერთმევა ქართული დრამატიული დასისაგან დაფნის გვირგვინი.

ბ) ბ. გ. ნ. სუნდუკიანცის 1 მოქ. ვოდევილი «საღამოს ერთი ცხვირი ხეირია».

გ) ბ. ა. ა. ცაგარლის კომედიიდგან «რაც გინახავს ვეღარ ნახავ» 1-ლი მოქმედება.

დ) წარმოდგენა გათავდება ლეკურით და ჩენჩურით.

≈≈ 15-ს ოქტომბერს თბილისში დაიწყო ჩვენის სამღვდელოებისაგან წარმოგზავნილის დეპუტატების კრება. დეპუტატები თოთხმეტნი მოგროვდნენ. მათი სალაპარაკო საგანი იყო სასულიერო სასწავლებელი და მისთვის სახლის შეძენა. კრებამ ორს პირს მიანდო სხვა-და-სხვა სახლების გასინჯვა და ფასის შეტყობა. ამას გარდა რამდენიმე მასწავლებელმა სთხოვა სამღვდელოებას ჯამაგირების მომატება, მაგრამ კრებამ არამცთუ არავის არ მოუმატა ჯამაგირი, შარშანდელ კრებისაგან [illegible] შემოკლებული ჯამაგირებიც [illegible].

≈≈ დიღომიდამ გვწერენ: «სხვაგან სჩივიან ხოლმე შორსა ვართ და მაზრის ადმინისტრაცია ყურს არ გვიგდებსო და აი ჩვენი დიღომი ხომ 8 ვერსზეა ქალაქიდამ, მაგრამ მოისმინეთ, ეს სიახლოვე როგორა გვშველის: ეს რამდენიმე ხანია საქონლის ჭირი არის ჩვენში, ღარიბები უფრო ღარიბდებიან, ხალხი მძოვრებს ატყავებს, ღეშს გზებზედა ჭყრის და პატრონი კი არავინ არის. განა არა, მოვიდა ერთხელ ვეტერინარი, მაგრამ ერთის მოსვლით რა იქნებოდა. ამ ჭირს დაერთო ბავშვების ქუნთრუშაც და რამდენიმე ბავშვი იმსხვერპლა. მაზრის ექიმი მოვიდა 12-ს ამ თვეს იმ მიზეზით, რომ ვიღაცას თავი გაუტეხეს. ეს უკანასკნელი კიდეც მოარჩა; ექიმის დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ ის სამს მოწერილობას ერთად აგროვებს და მერე მოდის, რადგანაც პროგონის ფული მაშინ ერთი-ორად ერგება. ექიმს უთხრა მამასახლისმა,—დღეს ქუნთრუშით ოთხი მკვდარი სძევს და ავადმყოფებიც არიან, გთხოვთ გასინჯოთო, —მაგრამ ექიმმა უპასუხა, ჯერ არ მოუწერიათ, როცა მომწერენ, მაშინ ამოვალო!... 17-ს ამ თვეს ერთი ათის წლის ყმაწვილი კიდევ შეიწირა ქუნთრუშამ.

≈≈ თბილისის მაზრაში, აღბულაღის ახლო, თურმე სკოლის გამართვას აპირებენ. ეს სკოლა იქნება ოთხის სოფლისა: ვაშლოვანისა, ერტისისა, დოუზანისა და ბორბალასი. საკვირველი ეს არის, რომ ადგილის ამომრჩეველთ სკოლიყო: ჯერ უნდა დაეხატნა მთელი

---

ლესია (წელიწადი II, № 31), შეხედეთ გუმბათის სახურავის ბოლოს; ამ რვეულში გუმბათის ბოლო გამოყვანილია სწორე ხაზად, რადგანაც ამას ბადეში კარგად მოთავსება თხოულობს და ნამდვილად კი იქ კრკალია ბოლოებ ქვემოთ დაშვებული და კრკალად უნდა იყოს გამოხატული. ამ გვარად ბავშვი ტყუვდება, ტყუილი ჩვეულებად ექცევა და ჭეშმარიტი ხელოვნება საუკუნოდ ხელიდამ მისდის.

პირველ-დაწყებიდგანვე ბავშვს სახატავად ისეთი ნიმუშები უნდა მიეცეს, რომლებშიაც არც დამახინჯებას, არც სიმტყუნეს, არც სიძნელეს არა აქვთ ადგილი. ესეთები არიან ესრედ წოდებულნი პრტყელი ორნამენტები (плоскіе орнаменты), რომელნიც ბ. ჯულელს კიდეცა აქვს რამდენიმე გვერდზე პირველს რვეულში (იხ. გვ. I, 2, 3, 4). განსაკუთრებით ეს ოთხი გვერდია მარტო შესაწყნარებელი და დანარჩენები, ნამეტნავად ყველა ჩვენი ნაციონალური ცხოვრებიდამ შეტანილი საგნები სრულიად, უვარსაყოფელია, როგორც გამოუსადეგნი და მავნებელნი სავარჯიშონი, თუმცა ბ. ავტორს იქნება იგინი თავის რვეულების განსაკუთრებულ ღირსებად მიაჩნია. რომ ეგ ნაციონაური ანუ ადგილობრივი საგნები ბ. ჯულელს რომელიმე საკითხავ წიგნში შეეტანა, მაშინ ეს დიდად მოსაწონი იქნებოდა, მაგრამ ახალ-დაწყებითს სახატავ რვეულში კი მათ ადგილი არა აქვსთ.

მეორე ძირითადი, არა შესაწყნარებელი ნაკლულევანება ბ. ჯულელის საერთოდ ყველა სურათებისა ის არის, რომ ნათლად არა სჩანს, ხატვის რომელ საშუალებას, გზას უჩვენებს ავტორი მოსწავლეს. მეორე რვეულში თითქმის ყველა საგნები დაჩრდილულია ხაზებით (штрихами), მესამეში კი გაბმით არიან გაშავებულნი. ამ გარემოებისთვის ბ. ავტორს დიდი ყურადღება უნდა მიექცია. ბავშვისათვის აუცილებლად საჭიროა, იცოდეს ხატვის ხელი და ყოველ შემთხვევაში მითი სარგებლობდეს. საჭიროა პირველად ბავშვმა შტრიხებითა ხატოს ყოველი საგანი და არა გაბმით აშავოს, რასაკვირველია, თუ იგი საგანს თავის ჩრდილითა ჰხატავს, რადგანაც გაბმით გაშავება, დაჩრდილვა პატარა მოსწავლეს ჯერ არ შეუძლიან; დაჩრდილვის მაგივრად იგი სრულიად გასთხუნავს რვეულს და მითი დაარღვევს მხატვრობის ერთ უმთავრეს პირობას—სისუფთავეს, რომელიც ესტეტიკურ გრძნობის განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა.

მართალია, ბ. ჯულელს მეორე რვეულში საგნები შტრიხებითა აქვს დახატული, მაგრამ მაინც კიდევ ერთს დიდს შეცდომას ვერასცილებია: შტრიხები უთავბოლოოდ არიან ზედიზედ მიყრილნი, ნამდვილად კი მათში განსაზღვრული თანხმობა და წყობილება არის საჭირო. თუ როგორი უნდა შტრიხები, ამაზედ არაფერს ვიტყვი, რადგანაც ბაასი უიმისოთაც გრძელდება და არც ჩვენს საგანს შეეხება.

კიდევ ერთი დიდი და საზოგადოდ ყველა რვეულების ნაკლულევანება, რომელიც მათ სრულიად გამოუსადეგარსა ხდის, არის ის, რომ საგნები საზოგადოდ მიღებულის მეთოდით არ იხატება; ჩვეულებრივ ჯერ უნდა დაიხატოს მთელის საგნის ნაპირის ხაზები (контуръ) და შემდეგ საგნის ტანი ჯეროვანად დაიჩრდილოს; ბ. ჯულელის სურათებში კი ეს კანონი სრულებით დაცული არ არის: იგი საგნის კონტურს ჯერ არ ასრულებს და ჩრდილს კი უკეთებს. ამ შეცდომის პოვნისათვის საჭირო არ არის რვეულების გადაფურცვლა; აიღეთ თუნდ დაკეცილი რვეული და გასინჯეთ ყდებზედ ურემი, ქვევრი და სტოლი, რომლებსაც ფეხზედ მდგომი ყმაწვილი ჰხატავს. ურმის მომეტებული ნაწილი გათავებულია, დაჩრდილულიც არის და თავი კი ჯერ არა აქვს, თითქო მოუტეხიათო. ნამდვილად კი ასე უნდა მოქცეულიყო: ჯერ უნდა დაეხატნა მთელი ურმის სხეულის კონტური და შემდეგ დაეჩრდილა; ასევე უნდა ექმნა ქვევრისა და სტოლის ხატვაშიაც. ზოგან კიდევ კონტური არ დაუთავებია (დავიწყებია, თუ არა სცოდნია, არ ვიცი) და ჩრდილი კი ბეჯითად დაუდვია (იხილეთ ვარცლი, რომელსაც ერთი უმთავრესი ხაზი აკლია).

სურათების ხატვაში არ არის დაცული აგრეთვე პერსპექტივის კანონები, რომელნიც უსათუოდ ყოველმა მხატვამა მხედველობაში უნდა იქონიოს, რადგანაც უამათოდ სიმართლით გამოხატვა საგნისა ყოვლად შეუძლებელია. შორს წასვლა არ გვინდა. აიღეთ მესამე რვეული და დახედეთ ყდაზედ დახატულს ურემს. პირველ შეხვედრითვე ეს ურემი თქვენ თვალში არ მოგდით; თქვენა ჰგრძნობთ, რომ ამ ურემს რაღაცა აკლია, ანუ როგორღაცა სდგას. მართალი ხართ არასოდეს ნამდვილს ურემს ამ სახით ვერა ნახავთ. როდესაც ურმის ერთი თვალი წინ გიდგათ და მეორე მის უკან, უეჭველად ეს უკანა თვალი წინა თვალზედ პატარად გეჩვენებათ, თუმცა კი ორივე ტოლები არიან. ასეთსავე მოვლენას ნახავთ, როდესაც, მაგალითებრ, ჩამწკრივებულს ალვის ხეებს გაჰხედავთ თავიდამ ბოლოსაკენ.

ამიტომაც ბ. ჯულელს აქეთა თვა-

ლის სადგომად არ ამოურჩევიათ არც ბორბალი: და არც კრტისი, რომელნიც შუაგულ ალაგსა მდებარებენ და ამოურჩევიათ ვაშლოვანი, რომელიც დოუბნიდამ $3\frac{1}{4}$ ვერსზეა; დოუბანში 100 კომლამდე მცხოვრებია და კარგს დიდს ნაწილს სკოლის ხარჯისას ეს სოფელი იხდის. მერე, როგორ უნდა იარონ საბრალო ბავშვებმა ზამთარში $4\frac{1}{4}$ ვერსის სიშორეზე.

≈ რამდენჯერმე იყო «დროებაში» გამოცხადებული, რომ რკინის გზის სტანციებზე გაზეთებს რიგიანად არ იღებენ და ამით სტანციების ახლო მცხოვრებლები გაზეთის დაბარების ღონისძიებას მოკლებულნი არიანო. რაც უნდა იყოს, მაინც ფოსტა მიდის ყოველ სტანციაზე და ცოტად თუ ბევრად ასრულებენ ეს უკანასკნელები ფოსტის კანტორის დანიშნულებას. სულ სხვაა ფოსტის სტანციებზე, სადაც არამც თუ გაზეთებს არ იღებენ, თბილისიდამაც კი აკრძალულია იქ გაზეთის გაგზავნა. რაღა თქმა უნდა, რომ ეს გარემოება სრულიად აშორებს ქვეყნიერებას, უსპობს საშუალებას ახალ ამბების შეტყობისას და გაზეთის წაკითხვისას იმ პირთ, რომელთაც ბედმა არგუნა სადმე მიყრუებულ ალაგს ცხოვრება. მერე, როგორ ადვილია იმისთანა განკარგულების მოხდენა, რომ ყველა სტანციის ზედამხედველი მოვალე იყოს კორესპონდენციის მიღებისა! იმედი გვაქვს ამ ჩვენს შენიშვნას ყურადღებას მიაქცევს იგი, ვისაც მინდობილი აქვს ეს საქმე.

≈ გუშინ, სამშაბათს, საღამოზედ მთელს კუკიას არა-ჩვეულებრივი მღელვარება ეტყობოდა. ხალხით გატენილი იყო ქუჩები და მეტადრე მიხაილოვის ქუჩა, იტალიის ბაღთან, ვაგონები მმამედ იყვნენ დატვირთულნი; ისინიც იტალიის ბაღისკენ მიეჩქარებოდნენ. ამ დღეს ხელმეორედ ეჭიდებოდა ბაქოელი თათარი ალთი-აილუღი გამოჩენილ გლდანელს. შესრულდა ოთხი საათი და იტალიის ბაღში მოგროვილს ურიცხვს ხალხს მხოლოდ ერთის მხარისკენ ეჭირა თვალი. გამოვიდა ჯერ თათარი ფერანგის ამარა, რომელსაც სახლები ნახევარზედ მოგლეჯილი ჰქონდა. აღელვებულმა თათარმა დაიწყო მოედანზე დინჯად სიარული, და არ აქცევდა ყურადღებას კინტოების ოხუნჯობას. კარგა ხანს იარა თათარმა და ბოლოს გამოჩნდა ფერ-მკრთალი გლდანელიც, ისიც სახელ მოხეულის ფერანგით. ეტაკნენ გლდანელი და ალთი-აილუღი ერთმანერთს; ერთის წამის მეტს არ გაუვლია ამ ჭიდაობაში, და ამ ერთ წამში სულ განაბულის ხალხის გულის ცემასაც კი გაიგონებდით. გამოჰკრა სარმა გლდანელმა და თათარს ხელები მიწაზედ დააკვრევინა; მოინდომა რომ აღარ აეშვა დედამიწიდამ, მაგრამ თათარი არ შეეპოვა გლდანელს, — თათარი ის იყო წამოდგომას აპირებდა, როდესაც აქეთ-იქიდამ ხალხი მისცვივდა და გლდანელმაც მაშინვე მოედანს თავი დაანება. ასტყდა საშინელი კიჟინა და ტაშის კვრა, გლდანელს ბევრნი გამარჯვებულად რაცხდენ, მაგრამ საქმის მცოდნენი კი ამბობდნენ, ეგ ჭიდაობა არ იყო, თათარი გულ-აღმა არ დაცემულა და ნამდვილად წამოუდგებოდაო. მოინდომეს ხელმეორედ დაჭიდება, თათარი კიდევ გამოვიდა მოედანზედ, მაგრამ გლდანელს აღარ მოუნდომნა. საქმე კიდევ საეჭვოდ დარჩა.

## რუსეთი

— გაზ. «რუსკი კურიერს» ატყობინებენ, რომ სახელმწიფო რჩევაში წარუდგენიათ პროექტი, რომელიც გლეხების ოჯახობათა გაყრას შეეხება. ამ პროექტით საზოგადო წესად უნდა დადგინდეს, რომ გლეხების ოჯახობანი არაოდეს არ გაეყარნენ ერთმანეთს ადგილობრივი გუბერნატორის ნება-დაურთველად. გუბერნატორების შესახებ კიდევ პროექტი ამბობს, რომ იმათ უნდა შეიმუშაონ ინსტრუქციები, რომელშიაც განმარტებულნი უნდა იყვნენ ყველა ის შემთხვევები, როდესაც არა გზით არ შეიძლება გლეხებს გაყრის ნება მიეცეთ.

— სერბიის დედა-ქალაქის ბელგრადის პრეფექტს მიუღია ბრძანება სამი რუსის სერბიიდამ განდევნისა. ამ რუსთა რიცხვში ურევია გამოჩენილი სლავიანური ფილოლოგი, პროფესორი პისკოვატოვი. სერბიელები ამ საქმეში თავს იმით მართლულობენ, რომ ვითომც ამ რუსებს ევრცელებინოთ სერბიის ეხლანდელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგი აზრები.

— დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთში შემოიღეს შვედური მოძრავი სკოლის სისტემა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მასწავლებელი დაიარება სოფლიდამ სოფელში და რამდენსამე ხანს ერთ სოფელში ასწავლის, მერე მეორეში, მესამეში და სხ. როდესაც სულ ყველა მისდამი მინდობილს სოფლებს მორჩება, მერე ისევ პირველი სოფლიდამ იწყობს და იმავე რიგზე გადა[illegible]დამ მეორეში. [illegible] ამ სწავლების სისტემას რუსეთში ჯერ ნიადაგი ვერ მოუპოვებია და, როგორც გაზ. «რუსკი კურიერი» იწერება, პეტერბურგის სამაზრო სასწავლებლის რჩევას განუზრახავს სთხოვოს მორიგს ერობის კრებას, რომელიც ამ ცოტა ხანში უნდა მოხდეს, რომ კრებამ ერთის წლის განმავლობაში კიდევ განაგრძოს მოძრავი სკოლების არსებობა იმის საცდელად — ამ სისტემას შეუძლიან სარგებლობა რამ მოუტანოს ხალხის სწავლების საქმეს, თუ არა?

— სამხედრო-მედიცინის აკადემიის ნაპროფესორალს ციონს ისევ განუახლებია მოლაპარაკება გაზეთი «გოლოსის» შესყიდვაზე. ხმებია, რომ ამ დღეებში «გოლოსის» სტამბა დაიკეტება და ჟურნალის «ოტეჩესტვენნია ზაპისკი», რომელიც ამ ჟამად აქ იბეჭდება, მომავალი თვიდგან სხვა სტამბაში დაიწყებენ ბეჭდვასაო.

— რადგანაც პეტერბურგში უფრო-და-უფრო მრავლდება იმისთანა პირნი, რომელნიც სამუშაოს ვერ შოულობენ, ამის გამო სდგება იქ მეორე საზოგადოება, რომელიც სახალხო პურის-საჭმელს გამართავს. ამასთანავე აქ ბიუროც იქნება გამართული სამუშაოს საშოვნელად და საჩვენებლად.

## უცხოეთი

— ნოემბრის უკანასკნელს რიცხვებში გერმანიის ქალაქ მიზენახში

---

ლი დიდი უნდა დაეხატნა და იქითა კიდევ პატარა. ის კი თითქმის იქითა თვალს შედარებით აქეთაზედ დიდსა ჰხატავს. სწორე გითხრათ, ძლიერ დიდი ცოდვა იქმნება, თუ პატარა მოსწავლეებს ამ გვარად შეასწავლით პერსპექტივას. კიდევ არაფერი, რომ ურმის ცუდად დახატვა ამითა თავდებოდეს. შეხედეთ ისევ აქეთა თვალს და დააკვირდით, როგორ მდგომარეობაში ხედავთ მას. ფერსოების მარჯვენა მხარეზედ თქვენ დაინახავთ შავ ზოლს—ეგ გახლავთ სისქე ფერსოებისა, რომელსაც ჩრდილი ადგა; რაკი ფერსოს სისქეს მარჯვენა მხრივა ჰხედავთ, ეგ იმას ნიშნავს, რომ თქვენ თვითონ მარჯვენა მხრივა დგეხართ, და თუ მარჯვენა მხრივა დგეხართ მაშინ მორგვს თავი მარცხნივ ექმნება გაშვერილი და, მაშასადამე, მის მარჯვენა მხარეც გამოჩნდებოდა. ბ. ჯულელის სურათში კი მორგვის მარცხენა მხარე სჩანს—რაც ნამდვილად შეუძლებელია. თუ უფრო კარგად დააკვირდებით ხსენებულსავე თვალს, თქვენ დაინახავთ, რომ მისი მაყურებელი გარდა იმისა, რომ მარჯვნივ უნდა იდგეს, იმავე დროს იგი ქვეშიდამაც უნდა შეჰყურებდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ქვემოთა ფერსოების სიპრტყეს ქვეშიდამ ვერ დაინახავდა, როგორც ჰხედავს ბ. ჯულელი.

ბევრსა სცოდავს აგრეთვე ბ. ჯულელი ჩრდილისა და სინათლის განწყობაში; თუ მზე რომელიმე საგანს ერთის მხრიდგან დაჰყურებს, მაგალითებრ, მარცხნიდგან, მაშინ საგნის ყველა ნაწილები მარცხნიდგან იქმნებიან განათლებულნი; თუ მზე ზემოდამ დაჰყურებს, მაშინ საგნის ნაწილებიც ზემოდამ იქმნებიან განათებულნი—ყოველთვის ასეა. ბ. ჯულელის რვეულებში კი ერთი და იგივე საგანი სხვა-და სხვა მხრიდგან არის განათებული, ანუ საგნის ერთი ნაწილი ერთის მხრივ არის განათებული და მეორე ნაწილი იმავე საგნისა იმავე მხრივ დაჩრდილულია; ესე მაშინ იქმნებოდა, თუ ერთის მზის მაგივრად რამდონიმე მზე ყოფილიყო და ყველას ერთისა და იმავე საგნისათვის დაეხედნა. გასინჯეთ, მაგალითებრ, ბ. ჯულელის მესამე რვეულში სომხური ურემი (№ 85). ამ ურმის თვალი მაყურებელს ეუბნება მზე წინიდამ არისო და უბე-კი გაიძახის: რას ამბობთ, მზე ზევიდამ დაგვცქერისო.

ვერას გზით ვერ მიმხვდარვარ, როგორ უნდა დახატოს შვიდი-რვა წლის ბავშმა: თარი თავის სიმებით, გოდორი და სავარცხელი თავის კბილებით მაშინ, როდესაც თვით ავტორსაც გასძნელებია მათა დახატვა? განა შეიძლებს ბავშვი ისე გააკეთოს სიმები თარზედ, ანუ გოდორი, რომ მართლა სიმებსა ჰგვანდენ, ანუ გოდორსა? მგონია, არა.

ხატვის ერთი საგანთაგანი არის სამაგალითო სისუფთავით და სურათების გარეგანი სიმშვენიერით განუვითაროს ბავშვებს ესტეტიკური გრძნობა. სურათების უსუფთაოდ დახატვა იმას ემგზავსება, რომ დალაქს პირი მოაპარსვინო და ზედ ტალახი კი წაასმევინო. აბა ახლა დახედეთ ბ. ჯულელის, მაგალითებრ, სახლს (რვეული III № 15) და სამაგალითო სისუფთავეს მაშინ დაინახავთ: მიწა, კედელი, სახურავი, ხე—სულ მურით შეერთებულია.

მაგრამ რაც ბ. ჯულელს ქართველი ქალისთვის დღე დაუყენებია, ის თქვენმა მტერმა ნახოს! უეჭველია, დიდი რამ დანაშაულობა მიუძღვის ჩვენს ქალებს წინაშე ბ. ჯულელისა, რომ უკანასკნელი ესე გამომეტებით ასახიჩრებს მათს ტიპს და ამ მდგომარეობაში ქვეყანას ამხილებს. საცოდავი ქართველი ქალი!.. ბ. ჯულელს ორსავე თვალებით უსინათლო დაუხატავს!!! ამასთან ისიც იქონიეთ მხედველობაში, რომ პატარა მოსწავლე ყმაწვილი უსათუოდ თავის მხრივ სურათს რაიმე ნაკლს დასდებს ხოლმე. უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვი ამ უსინათლო ქართველის ქალის სურათს ერთ ფეხს თავის უცოდინარობით მოკლეს გაუკეთებს, შეიძლება კუზიც გააშვერინოს უკან და აბა მაშინ გამოვა სრული ტიპი ჩვენი ქალებისა! ვაი შენი ბრალი, სამაგალითო სილამაზის პატრონო ქართველო ქალო!..

ბრმა ქალსა ჰხატავს, აძლევს კავკასიელ ყმაწვილებს ხელში განურჩევლად: ქართველს, ფრანცუზს, ნემეცს, თათარს, რუსს და თანაც ეუბნება: ხატეთ, ისწავლეთ, ეს ქართველი ქალის ტიპიაო. მე რომ ჩვენი ქალებისა ვყოფილიყავ, უსათუოდ კოლექტიურს საჩივარს შევიტანდი ბ. ჯულელზედ და კანონის ძალით მოვსთხოვდი მას დაკმაყოფილებას ასეთის უშვერის შეურაცხობის მიყენებისათვის წინაშე მთელის კავკასიისა.

დასკვნა მთელი ჩვენის მსჯელობიდამ მკითხველისათვის მიგვინდვია.

ალ. მირიანაშვილი.

მოხდება პირველად გერმანიელი გლეხების დიდი კრება, რომელზედაც სჯა ექნებათ იმისთანა საგნებზე, რომელნიც მიწის მხვნელთ ინტერესებს შეეხებიან. ამ ყრილობაზე დაესწრებიან გლეხების წარმომადგენლები გერმანიის ყველა ნაწილებიდგან. კრება, სხვათა შორის, განიხილავს პროგრამას და წესდებას «გლეხთა კავშირის» საზოგადოებისას, რომლის დაარსებასაც ეხლა ფიქრობენ.

— როგორც ბერლინიდგან იწერებიან, ზოგიერთა იქაური გაზეთები ამტკიცებენ, რომ მუხთარ-ფაშის მისია ინგლისის, რუსეთის და, თითქმის, ავსტრიის წინააღმდეგაც არის მიმართულიო.

— უფრო ნამდვილი ცნობებიდგან სჩანს, ვითომც მუხთარ-ფაშას ჰქონდეს მინდობილი შეატყობინოს ბერლინის და ვენის კაბინეტებს, რომ ოსმალეთის მთავრობა მტკიცედ დაიცავს ბერლინის ტრაქტატის გარდაწყვეტილებათა, თუ, ვინიცობაა, რუსეთი ჩაერია ბულგარიის საქმეებში. მაგრამ ამ ცნობებსაც არღვევენ ზოგიერთი ვენის გაზეთები და ამტკიცებენ, რომ იმის მინდობილობას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონიაო.

— ინგლისიდგან იწერებიან, რომ იქაური გაზეთის «სტანდარდ»-ის ვენის კორესპონდენტს უნახავს მუხთარ-ფაშა, რომელსაც უთქვამს, რომ ოსმალეთის მთავრობა ძალიან ზრუნავს სომხეთის საქმეებზე, მაგრამ ღონის-ძიება არა აქვს, რომ ცვლილებები მოახდინოს იქაო.

— იქიდამვე იწერებიან — თავადი ბისმარკი ისე არის ავად, რომ ექიმები მუშაობის ნებას აღარ აძლევენო. ის კიდევ რამდენსამე ხანს დაჰყოფს ფრიდრიხსრუეშიო.

— იქიდამვე მოსული ცნობებიდგან სჩანს, რომ კაბინეტს პირველი რჩევა 9 ნოემბერს ექნება და პირველადვე ეგვიპტიდამ დროებით დაყენებულ ჯარების გამოყვანაზე მოილაპარაკებსო.

— იქაურივე გაზეთის «ვერლდ»-ის სიტყვით, როდესაც პარლამენტების კრება დაიწყობა, გლადსტონის კაბინეტში შესამჩნევი ცვლილებები მოხდებაო.

— ერთი პეშტის ოფიციოზური გაზეთი სწერს, რომ ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში ამისთანა წესი და მყუდროება არსად ყოფილა, როგორიც ეხლა არისო; ჯარის მოკრეფამ მშვიდობიანად ჩაიარა, დაპყრობილს პროვინციებში აჯანყების მაგალითი აღარა ყოფილაო და თითქმის ჩვეულებრივი ავაზაკობა და ცარცვაც კი შემცირდაო.

— ესპანიის ახალი კაბინეტი, როგორც იწერებიან, ყველა ღონისძიებით ცდილობს ესპანიასა და საფრანგეთს შუა მეგობრული კავშირი აღადგინოს და განზრახვა აქვს წინადადება მისცეს საფრანგეთს იმის შესახებ, რომ ორივე მმართებლობა ეცადნენ ბოლო მოუღონ მათ შორის მომხდარს უთანხმოებას.

# განცხადებანი

—

ბუშინ თბილისის ბანკის განცხადებაში მოხსენებული იყო შეცდომით თ. ნიკ. თადეოზის-ძის ჩოლაყაშვილს მამული; იმის მაგივრად უნ და იყოს: ჩოლაყაშვილი, ერასტ ზაალის-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე 3561 დესეტინა 2000 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, ჭიაური.

---

ნერსესიანის სომხური სასულიერო სემინარიის მზრუნველთა რჩევაში ოქტომბრის 26 ს, საღამოს 7-ს საათზე, იქნება ხელმეორე ვაჭრობა (ტორგი) ვაჭრობის განუმეორებლად (უპერეტორჟკოდ) იჯარით გაცემისა ძველი სემინარიის ქვემო სართულისა, რომელშიაც გამართულია 32 მაღაზია პირობათა გასინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, 10 საათიდგან ვიდრე 12 საათამდე. (3—3)

---

მივიღეთ ბევრი ფოშტის ქაღალდი, რიფსისა და ბევრი სხვა ნაირიც კონვერტებით, აგრეთვე რკინის კალმები, კლეონკები, თეთრი მეტალის ფოდნოსები, ტუალეტის საპონი, ჩაი 1-ს მოკრეფისა და სხ. სულყველაფერი 25%-თ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე სხვაგან სადმე ინგლისურს მაღაზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტანსაცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა. ამეებშიც ფასი ძალიან დაეთმობათ მყიდველებს. (10—4)

---

თბილისის ჯარების ტანთსაცმელის სამკერვალო, რომელიც ნავთლუღში იმყოფება, იწვევს სამუშაოდ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც კი შეუძლიანთ მუნდირების და შინლების ხელით კერვა და აგრეთვე იმ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც ფეხის საკერავ მაშინაზე მუშაობა იციან. (10—9)

---

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდორსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, [illegible], ქარხნის საფხეკები, [illegible] — კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—5)

---

## 1884 წ. იანვრის თვიდამ

ქ. თბილისში

გამოიცემა ყოველ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# ნობათი

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი «ნობათი»-სა იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ-მიწევნით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ფორმატისა და თითო წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებიან პეტერბურგში.

ქრისტეშობისთვეში გამოვა ნიმუშად ერთი ნომერი, რომელიც უფასოდ დაურიგდება 1884 წლის ხელის-მომწერლებს.

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა. პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ. ნარევი. «ნობათი»-ს ფოსტა. განცხადებანი.

დამოუკიდებელი მონაწილეობა ჟურნალ «ნობათ»-სა აღუთქვეს და მიიღებენ: თ. აკ. რ. წერეთელი, თ. რ. დ. ერისთავი, გ. ე. წერეთელი, თ. ნ. ტ. დადიანი, ი. ბაქრაძე, ე. რ. გაბაშვილისა, ა. მ. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი) და სხვ.

ჟურნალზე ხელის-მოწერა:

ჟურნალი «ნობათი» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ეღირება ოთხი მანეთი. ცალკე ნომერი ათი შაური. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკენისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის ქვემოთ, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შაჰვერდოვის წიგნის სააგენტოში.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

გორში—ექ. ფურცელაძისას.

თელავში— ი. პ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію педагогическаго журнала «Нобати».*

(3— 3) რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

*Довв. цензур. Тифлисъ, 19 Октября 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.